საკონკურსო დოკუმენტაცია

ქ.ონში რაჭის მუზეუმის

პროექტირებაზე

(პროექტირების მეორე ეტაპი)

საკონკურს დოკუმენტაცია

(CVP-71300000)

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანების საფუძველზე

ქ. ონი

2016 წელი

საკონკურსო განცხადება

1. ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და მასთან დაკავშირებული საინჟინრო მუშა დოკუმენტაციით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია: ქ. ონში ზურაბ ქათიანიძის ქუჩაზე ყოფილი პირველი სკოლის ტერიტორიაზე ახალი სამუზეუმო - საგანმანათლებო სივრცის, ახალი შენობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის საუკეთესო მუშა დოკუმენტაციის პროექტის გამოვლენა..

3. **შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 47 460 (დღგ-ს გარეშე) ლარს (ექსპერტიზის ღირებულება გათვალისწინებულია სავარაუდო ღირებულებაში).**
4. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
5. საკონკურსო წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემის მეშვეობით, აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ.
6. ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ის გარეშე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას.
7. კონკურსში მონაწილეს უნდა გააჩნდეს მინიმუმ ერთი ანალოგიური ტიპის რეალიზებული პროექტი (მუზეუმი), რომელიც დაპროექტდა კონკურსანტი პრედენდენტის მიერ და მოხდა მისი სამშენებლო სამუშაოების წარმოება (აშენება)-(შესაბამისი საპროექტო-სამშენებლო მიახლოებითი ღირებულებით), რის დასადასტურებლადაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ხელშეკრულებები და მათი შესრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტები (ან/და ექსპერტიზის დასკვნები ან/და ნებისმიერი სახის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს აღნიშნული მომსახურების შესრულების ფაქტს).
8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ. არასრულყოფილად ატვირთული დოკუმენტაციის შემთხვევაში პრედენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. აღნიშნული მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების დღიდან.
9. ანგარიშსწორება გამარჯვებულ კონკურსანტთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, წარმოდგენილი საპროექტო-საღარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე, რომელიც გაცემული იქნება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის

(საპროექტო დოკუმენტაციის საინჟინრო - ტექნიკურ ნაწილზე), მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 კალენდარულ დღეში.

10. საკონკურსო წინადადების შეფასების კრიტერიუმები:

10.1. ხარისხის ჯამური შეფასების კოეფიციენტი შეადგენს - 0,8 ;

10.2. საკონკურსო წინადადების ფასის კოეფიციენტი - 0,2 .

11. საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისთვის დადგენილი ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები:

- ანალოგიური ობიექტების პროექტის მომზადების გამოცდილება – 0.8
- დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა (მაქსიმუმ 30 კალენდარული დღე) კოეფიციენტი – 0.2

შენიშვნა:

- შესფასებისას კომისიის ყოველი წევრი ცალ-ცალკე აფასებს კრიტერიუმს 0–10 ქულიან დიაპაზონში, ხოლო საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით.
- მოწოდების ვადის შეფასებისას უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს.
- პროფესიული გამოცდილება საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი #2-ის შესაბამისად წარმოდგენილ მონაცემს ენიჭება მაღალი ციფრობრივ მაჩვენებელს.

12. **პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.**

13. **პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს,** მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ-ის გადამხდელი, ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა.

14. საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშება:

14.1. საკონკურსო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯის გათვალისწინებით, გარდა დღგ-სა.

14.2. საკონკურსო წინადადების ფასი არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას. საკონკურსო წინადადების ფასს პრეტენდენტი უთითებს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში. დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

14.3. პრეტენდენტს საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების წარმოდგენა არ მოეთხოვება.

15. საუკეთესო საკონკურსო წინადადებისა და გამარჯვებულის გამოვლენისთვის კონკურსში გამოიყენება საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმები და მათი წონები.

16. გამარჯვებული პრეზენტენტი საკონკურსო ხელშეკრულების დადების შემდგომ ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს საავტორო უფლება.

<u>კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია</u>

ზოგადი ინფორმაცია

1.რეკვიზიტები დანართი №1-ს შესაბამისად;

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების გაწევის შესახებ დანართი №2-ს შესაბამისად;

2. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

3. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

შენიშვნა

1. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს **60 (სამოცი)** კალენდარულ დღეში (ექსპერტიზის დასკვნის ჩათვლით) სრული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

2. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

3.საკონკურსო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება “მსგავსი” ან “ეკვივალენტური”.

4. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: დავით რაზმაძე ტელ.: 591 010360, ზაზა იაშვილი ტელ.: 577 245580.

ტექნიკური დავალება
ქ.ონში რაჭის მუზეუმის

პროექტირებაზე

ზოგადი დებულებები

მონაწილეობის უფლება არა აქვთ ჟიურის წევრებს, ასევე პირებს (იურიდიული/ფიზიკური) რომელსაც არ გააჩნია მსგავსი ტიპის მომსახურების გაწევის გამოცდილება, კერძოდ; საპროექტო ობიექტის მასშტაბიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა კონკურსანტს გააჩნდეს მინიმუმ 1 სამუზეუმო შენობა ნაგებობის პროექტირების გამოცდილება.

კონკურსის ყოველ მონაწილეს შეუძლია მუზეუმის შენობის ერთი პროექტის წარმოდგენა. საკონკურსო მოთხოვნათა შეუსრულებლობა გამოიწვევს მონაწილის კონკურსიდან გამორიცხვას.

კონკურსის ძირითადი მიზანი და ამოცანები.

კონკურსის ძირითად მიზანს წარმოადგენს თანამედროვე სამუზეუმო მოთხოვნების შესაბამისი სამუზეუმო კომპლექსის მოწყობა, რომელიც შეიქმნება რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექციების ბაზაზე. აღნიშნული მსოფლიო მნიშვნელობის კოლექციები საჭიროებს საერთაშორისო სამუზეუმო სტანდარტების შესაბამისად დაცვას, კვლევას, ახლებურად გაანალიზებას და ფართო აუდიტორიისათვის თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად წარდგენას. ახალი მუზეუმი შეასრულებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

- არტეფაქტების კვლევა და კონსერვაცია;
- გამოფენები (როგორც მუდმივ მოქმედი, ასევე დროებითი);
- საზოგადოებრივი განათლება;
- რეგიონში კულტურული-ტურიზმის განვითარება.

კონკურსის ამოცანებია:

- ერთიანი გეგმის შემუშავება , თანამედროვე ინფრასტრუქტურა ორგანულად უნდა იყოს შერწყმული არსებულ ლანდშაფტთან და გარემოსთან;
- მუზეუმის შენობა უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიოს თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტებს;
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მე-2 ეტაპის დოკუმენტაციის შედგენა.

მეორე ეტაპზე შესასრულებელი საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

არქიტექტურული ნაწილი

- პროექტის განმარტებითი ბარათი ძირითადი ტექნიკური მაჩვენებლების მონაცემებით;
- მუზეუმის შენობის არქიტექტურული პროექტი - მუშა დოკუმენტაცია (გეგმები, ფასადები, ჭრილები, ინტერიერის განშლები, დეტალებით. 1:100; 1:50, 1:20, 1:10);
- მასალათა სპეციფიკაციები (მოსაპირკეთებელი მასალა, ვიტრაჟები, კარ-ფანჯრები, ჭერი, იატაკი, კედლები და გადახურვა);

- ხანძარსაწინააღმდეგო გაყვანილობის მოწყობის პროექტი სახანძრო ევაკუაციის გეგმით 1: 200;
- საინჟინრო კომუნიკაციების პროექტი, განმარტებითი ბარათი, სპეციფიკაციები: წყალსადენი-კანალიზაცია; შიდა მილსადენის სისტემის გეგმა (ცივი და ცხელი წყალი, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები), ელექტრო მომარაგება, გათბობის სისტემის გეგმა, ვენტილაციის სისტემის გეგმა,კონდიცირების სისტემის გეგმა, სუსტი დენები და შენობის და გარესივრცეების დაცვა/უსაფრთხოების და სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გეგმა, (საინფორმაციო, აუდიო, ვიდეო, საკომუნიკაციო ქსელები);
- განათება - განმარტებითი ბარათი, შენობაში არსებული ფართის განათების განაწილების გეგმა, სპეციფიკაციები;
- სამუშაოთა ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა (არსებული რესურსები და საერთო გეგმა);
- მუშაობის ორგანიზაციის გეგმა და სამუშაოთა შესრულების ვადები;
- ზოგადი და დეტალური ტექნიკური სპეციფიკაციები.

საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ფორმა

საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს A-3 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:

- სათაური;

- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;

- ალბომის შემადგენლობა;

- პროექტის შემადგენლობა;

- შესაბამისი ტექსტუალური ნაწილ(ებ)ი, დადასტურებული შემსრულებლ(ებ)ის/ ავტორ(ებ)ის მიერ - A-4 ფორმატი;

- გრაფიკული ნაწილ(ებ)ი, შტამპით და ჩარჩოთი - A-3 ფორმატი (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული ფორმატის წარმოდგენა, ალბომში აკინძული A3 ფორმატის ზომაზე).

ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იყოს A-4 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:

- თავფურცელი (სათაური);

- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;

- განმარტებითი ბარათი;

- სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა დადასტურებული შემდგენელის ხელმოწერით;

შემსყიდველისათვის გადასაცემისაბოლოოსრული პროდუქცია:

- მყარიასლები - ალბომი 4 ეგზ.;

-ელექტრონულიფორმატი (ვექტორული DWG, DXF, PLN გაფართოებისფაილი-ArchiCad, Auto CAD) და PDF ფორმატში,კომპაქტდისკებისსახით(CD - 4 ეგზ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შესაძლოა დაზუსტდეს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ პროექტი

------- „“ 2016 წ.

ერთის მხრივ ---------- (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ---------- სახით და მეორეს მხრივ ———————— (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის, (————) **საკონკურსო** წინადადების საფუძველზე, კონკურსის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

1.6. “ტექნიკური დავალება”– სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს : ----------

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს:

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ----------

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია **მომსახურება განახორციელოს** ————————. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

4.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

4.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ, ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე, რომელიც გაცემული იქნება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის (საპროექტო დოკუმენტაციის საინჟინრო - ტექნიკურ ნაწილზე).

5.2. შემსყიდველის მხრიდან “მიღება-ჩაბარების” აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი (———)

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს (————)

6.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრუელების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი (შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2. ანარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 15 დღის განმავლობაში:

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. ადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

11. სუბ-კონტრაქტორები

11.1. იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

11.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

11.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. მხარეთაპასუხისმგებლობახელშეკრულებისპირობებისდარღვევისათვის

13.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1% ოდენობით.

13.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

14.2. ხარე ვალდებულია 10.2. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლება 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. სხვა პირობები

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს----------წ-მდე.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **სამ** ეგზემპლარად და **სამივეს** აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

17. მხარეთა რეკვიზიტები

დანართი 1

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფირმის დასახელება;

ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;

საიდენტიფიკაციო კოდი;

ბანკის კოდი;

ანგარიშის ნომერი;

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;

ელექტრონული მისამართი;

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი

დანართი 2

ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ

#	**მომსახურების დასახელება**	**შემსყიდველის დასახელება**	CMR-ის ნომერი და SPA	**ხელშეკრულების ღირებულება**	**ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება**	**ხელშეკრულების გაფორმების თარიღი**
1	2	3	4	5	6	7

შენიშვნა: ა) ცხრილის მე-4 სვეტი ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი მომსახურება გაწეულია შემსყიდველი ორგანიზაციის დაკვეთით და ხელშეკრულება ატვირთულია შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში; ბ)შემსყიდველი უფლება მოსილია ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების სახით პრეტენდენტისაგან მოითხოვოს გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარები აქტების/ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პრეტენდენტის დასახელება

სახელი, გვარი

ხ. მ. ბ. ა.